საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
იძულებით გადაადგილებულ პირთა,
განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED PERSONS
FROM THE OCCUPIED TERRITORIES,
ACCOMMODATION AND REFUGEES OF GEORGIA

0177, ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. 15ª
15ª, Tamarashvili str., 0177, Tbilisi, Georgia

ტელ./Tel.: (995 32) 31-15-85
ცხელი ხაზი/Hotline: (995 32) 43-11-00
ფაქსი/Fax: (995 32) 31-15-96

www.mra.gov.ge

N 04/07/26715
07/11/2017

26715-04/07-2-201711071001

„ფაქტ-მეტრი“-ს რეგიონულ წარმომადგენელს
ქ-ნ ნინო ჩიფჩიურს

ქალბატონო ნინო,

სამინისტროში 2017 წლის 2 ნოემბერს შემოსული თქვენი წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ ქ. გორში, ანწუხელიძის (ყოფ. მოსკოვის) ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე, სს „ტრანსმშენი“, სამინისტროსთან გაფორმებული N412 ხელშეკრულების ფარგლებში, ახორციელებს 4 შეწყვილებული საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობას 480 ოჯახზე.

აღნიშნული სამუშაოები, გაფორებული ხელშეკრულების მიხედვით უნდა დასრულებულიყო მიმდინარე წლის 11 აგვისტოს.

ვინაიდან სამშენებლო კომპანიამ ვერ უზრუნველყო სამუშაოების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში დასრულება, მიმდინარე წლის 11 აგვისტოდან კომპანია სამუშაოებს ახორციელებს საჯარიმო სანქციებით.

სამშენებლო სამუშაოების დასრულება იგეგმება მიმდინარე წლის ბოლომდე.

აქვე გაცნობეთ,, რომ ამ ეტაპზე დასრულებულია მითითებულ მისამართზე მდებარე ობიექტზე საცხოვრებელი ფართის მიღების მსურველ დევნილ ოჯახთა განაცხადების მიღება, შეფასება და მიმდინარეობს მონიტორინგი. მიმდინარე წლის ნოემბერ-დეკემბერში დაგეგმილია დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის სხდომა, სადაც განიხილება იმ დევნილ ოჯახთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილების საკითხი, რომლებსაც განაცხადები შევსებული აქვთ ქ. გორში, კომბინატის დასახლებაში მდებარე ობიექტზე.

პატივისცემით,

გოგუცა გურული

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

ადმინისტრაციული დეპარტამენტი